ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №143

დ. ხულო 01 აგვისტო 2023 წ.

ერთის მხრივ, ხულოს მუნიციპალლიტეტი (შემდგომში – „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მერის ვახტანგ ბერიძის სახით და მეორეს მხრივ ი.მ. „ემზარ აბაშიძე“ (შემდგომში - „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი წარმომადგენლის ემზარ აბაშიძის სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა „შემსყიდველს“ კულტურულ ღონისძიებათა ქვეპროგრამის ფარგლებში ხულოს მუნიციპალიტეტს სახალხო დღესასწაულ „შუამთობა“-ზე გაუწიოს მობრძანებული სტუმრებისა და მონაწილეთა საზეიმო სუფრის მომსახურება, (არანაკლებ 250 კაცზე) შემდგომში „მომსახურება“, (მომსახურების ჩამონათვალი მოცემულია ტექნიკურ დავალება დანართი N1-სა და ფასების ცხრილ დანართი №2-ში), რომელიც ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს), (CPV 55300000; 55312000; 55321000).
1.2. მიმწოდებელი ასრულებს, ხოლო შემსყიდველი ღებულობს შესრულებულ მომსახურებას და ახდენს მისი ღირებულების ანაზღაურებას წინამდებარე ხელშეკრულების 2.3 პუნქტის შესაბამისად.

2. მომსახურების ღირებულება და ანგარიშწორების წესი

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **13500.00 (ცამეტი ათას ხუთასი)** ლარს.
2.2. მომსახურების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.
2.3. შემსყიდველის მიერ შესრულებული მომსახურების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების მოცულობის მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
2.4. მიმწოდებლის მოთხოვნა ანაზღაურების შესახებ შემსყიდველისადმი შესრულებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით, მომსახურების შესრულების შესახებ შესაბამისი დოკუმენტების დართვით.
2.5. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველთან ერთად დააფიქსიროს შესრულებული მომსახურების ღირებულება.
2.6. თუ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული შესასრულებელი მომსახურების მოცულობების ღირებულებამ არ შეადგინა აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული მომსახურების მოცულობების ღირებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ მომსახურების მოცულობების ანაზღაურებაზე.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის სამსახური.
3.2. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.
3.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
3.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს შესრულებული მომსახურება ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.
4.2. თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.
4.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან, ხელახლა კონტროლთან დაკავშირებულ ხარჯებს, კონტროლის შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის ღირებულების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.
4.4. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადახდო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.
4.5. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შემდეგ.
4.6. გაწეული მომსახურების შემოწმებასა და მიღება-ჩაბარებას განახორციელებს ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის სამსახური.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის სრული დაცვით.
5.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) მიმწოდებელს წინასწარ გააცნოს ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულებისას.
ბ) მომსახურების შესრულების დამოწმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება.
გ) მიმწოდებელს აუნაზღაუროს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით სახელმწიფო შესყიდვის მომსახურების სრული ღირებულება, მომსახურების დასრულებისთანავე.
5.3. შემსყიდველს უფლება აქვს:
ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.
5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
ბ) დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემებისა და გარანტიების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

6.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ თავის ვალდებულებებს ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
6.2. შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებელს შეუწყვიტოს ხელშეკრულების შესრულება წერილობითი ფორმით შეტყობინების შემდეგ მიმწოდებლის მიერ მისი ვალდებულებების ან მისი ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში თუ:
ა) მიმწოდებელმა არ შეასრულა მომსახურება ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში.
ბ) თუ მიმწოდებელმა არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა თავისი ვალდებულებები.

6.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი არ წარმოადგენს ანგარიშსწორებისათვის საჭირო ყველა დოკუმენტაციას, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
6.4. იმ შემთხვევაში, თუ „6.3.“ პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს რაოდენობა მიაღწევს სახელშეკრულებო ღირებულების 0.2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხვრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%–ის ოდენობით.
6.5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების, ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10 %–ის ოდენობით.
6.6. ჯარიმისა და პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ან შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
7.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
7.3. ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.
7.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
7.5. მხარეს შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე აშკარად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნას.
7.6. თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მიმწოდებელი არ შეასრულებს თავის ვალდებულებას ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, შემსყიდველი უფლებამოსილია ვადაზე ადრე მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა
7.7. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
7.8. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში.
7.9. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

8. მომსახურების გაწევის ვადები/ადგილი და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით.
8.2. მომსახურეობის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში შემსყიველის მოთხოვნის შესაბამისად, კურორტ ბეშუმში ,,შქერნალი“-ს ტერიტორიაზე.

9. ფორს-მაჟორული სიტუაციები

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9.2. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორს-მაჟორული გარემოებათა დასრულების შემდეგ.
9.3. მხარეს, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყონებლივ უნდა აცნობოს წერილობით ამის შესახებ მეორე მხარეს. ამასთან მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
10.2 თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

11. გადასახადები და ბაჟები

11.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

12. შეტყობინება

12.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
12.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13. სხვა პირობები

13.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.
13.2. ხელშეკრულება ძალაში შედის, მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.
13.3. ხელშეკრულება იდება ორი ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ერთი პირი გადაეცემა მიმწოდებელს ერთი კი შემსყიდველს.

14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“

ხულოს მუნიციპალიტეტი
მის: დაბა ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. №1
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ს.კ 248056311 ბ/კ: TRESGE22
ანგ. №GE24NB0330100200165022
ხულოს მუნიციპალიტეტის
მერი ვახტანგ ბერიძე

khulo municipality

Digitally signed by khulo municipality
Date: 2023.08.01 17:38:44 +04'00'

„მიმწოდებელი“

ი.მ. „ემზარ აბაშიძე“
მის.: ხულო, სოფ. დუაძეები.
ს.ს. „საქართველოს ბანკი“
ს. კ. 61009000911
ანგ.№GE90BG0000000729451800
ბ/კ BAGAGE22
ი.მ „ემზარ აბაშიძე“-ს წარმომადგენელი
ემზარ აბაშიძე

Emzar Abashidze 61009000911

Digitally signed by Emzar Abashidze
Date: 2023.08.01 22:20:45

კურორტ ბეშუმში სახალხო ზეიმ ,,შუამთობა''-ზე მოწვეული სტუმრებისათვის ,,შქერნალი''-ის ტერიტორიაზე საზეიმო სუფრის ტექნიკური დავალება			
№	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა
1	ღონისძიებაზე დამსწრე სტუმრტებისთვის სუფრის ორგანიზება	კაცი	250
1,2	პური (900 გრ, სერი, თეთრი)	ცალი	60
1,3	პური შოთის (500 გრ)	ცალი	60
1,4	მჭადი (კვერი 150გრ.)	ცალი	70
1,5	ყველი აჭარული	კგ	10
1,6	ყველი იმერული	კგ	10
1,7	ყურუთი	ცალი	60
1,8	კაიმაღი	ლიტრი	10
1,9	აჩმა (არანაკლებ 50 გრ-იანი)	ნაჭერი	150
1.10.	ხაჭაპური (სტანდარტული)	ცალი	50
1,11	მაწონი (არანაკლებ 1 ლ. ქილა)	ცალი	10
1,12	სინორი	ჟარონა	25
1,13	ხავიწი	ულუფა	25
1.14.	ნაღბიბორა კვერცხით (არანაკლებ 400 გრ.)	ღრმა თეფში	40
1,15	ბორანი (არანაკლებ 400 გრ-იანი)	ღრმა თეფში	40
1,16	შემწვარი ქათამი (1 კგ-იანი)	ცალი	35
1,17	ხაშლამა მშრალად	კგ	65
1,18	მწვადი (220-250გრ)	შამფური	60
1,19	თევზი კალმახი (არანაკლებ 200 გრ.)	ცალი	55
1,2	კარტოფილი მოხარშული	კგ	25
1,21	კიტრი	კგ	25
1,22	პომიდორი	კგ	20
1,23	მწვანე პიმპილი	ცალი	30
1,24	ბორეგი ნიგვზით ტკბილი	ჟარონა	15
1,25	თაფლი	კგ	5
1,26	იაღლი მჭადი (არანაკლებ 800 გრ.)	კეცი	15
1,27	ყაისეფე (არანაკლებ 300 გრ თეფშით)	თეფში	15
1,28	ტყემლის საწებელი	ლიტრა	8

1,29	მარილი	კგ	2
1,3	კიტრი-პომიდვრის სალათა	ულუფა	60
1,31	მწნილის ასორტი (კიტრი, ჯონჯოლი, პომიდორი, ნიორი, წიწაკა)	ულუფა	49
1,32	საზამთრო	კგ	60
1,33	ნესვი	კგ	50
1,34	სიმინდი	ცალი	65
1,35	ყავა	კგ	5
1,36	შაქარი	კგ	5
1,37	ღვინო ქარხნული	ლიტრი	200
1,38	არაყი ტყემლის	ლიტრი	15
1,39	მინერალური წყალი 0.5 ლიტრიანი	ცალი	62
1,4	ლიმონათი სხვადასხვა სახის 0.5 ლიტრიანი	ცალი	100
1,41	სალფეთქი (თეთრი ფერის,მაღალი ხარისხის)	შეკვრა	40
1,42	სუფრის მომსახურება	კაცი	15
სუფრა უნდა გაეწყოს იმდაგვარად, რომ შესაძლებელი იყოს 100 პერსონის განთავსება ამისთვის სათანადოდ მოწყობილ ერთ ცალკე მდგომ სივრცეში (ფანჩატურში), ხოლო დანარჩენი 150 პერსონის განთავსება შესაძლებელია რესტორნის სხვადასხვა სივრცეში.			

ი.მ. „ემზარ აბაშიძე“-ს წარმომადგენელი ე. აბაშიძე

კურორტ ბეშუმში სახალხო ზეიმ „შუამთობა -ზე მოწვეული სტუმრებისათვის „შქერნალი -ის ტერიტორიაზე საზეიმო სუფრის ფასების ცხრილი					
№	**საქონლის დასახელება**	**ზომის ერთეული**	**რაოდენობა**	**ერთეულის ფასი**	**სულ ფასი**
1	**ღონისძიებაზე დამსწრე სტუმრტებისთვის სუფრის ორგანიზება**	**კაცი**	**250**	**54**	**13500**
1,2	პური	ცალი	60	2,50	150,00
1,3	პური შოთის	ცალი	60	2,50	150,00
1,4	მჭადი	ცალი	70	1,50	105,00
1,5	ყველი აჭარული	კგ	10	18,00	180,00
1,6	ყველი იმერული	კგ	10	12,00	120,00
1,7	ყურუთი	ცალი	60	3,00	180,00
1,8	კაიმაღი	ლიტრი	10	15,00	150,00
1,9	აჩმა ხაჭაპური	ნაჭერი	150	6,00	900,00
1.10.	ხაჭაპური	ცალი	50	15,00	750,00
1,11	მაწონი (ქილით)	ცალი	10	4,00	40,00
1,12	სინორი	ჟარონა	25	14,00	350,00
1,13	ხავიწი	ულუფა	25	12,00	300,00
1.14.	ნაღბიბორა კვერცხით	ღრმა თეფში	40	12,00	480,00
1,15	ბორანი	ღრმა თეფში	40	14,00	560,00
1,16	შემწვარი ქათამი	ცალი	35	16,00	560,00
1,17	ხაშლამა მშრალად	კგ	65	17,00	1105,00
1,18	მწვადი	შამფური	60	18,00	1080,00
1,19	თევზი კალმახი	ცალი	55	10,00	550,00
1,2	კარტოფილი მოხარშული	კგ	25	3,00	75,00
1,21	კიტრი	კგ	25	4,00	100,00
1,22	პომიდორი	კგ	20	4,00	80,00
1,23	მწვანე პიმპილი	ცალი	30	2,00	60,00
1,24	ბორეგი ნიგვზით (ტკბილი)	ჟარონა	15	20,00	300,00
1,25	თაფლი	კგ	5	25,00	125,00
1,26	იაღლი მჭადი	კეცი	15	17,00	255,00
1,27	ყაისეფე	თეფში	15	15,50	232,50
1,28	ტყემლის საწებელი	ლიტრა	8	4,00	32,00
1,29	მარილი	კგ	2	2,50	5,00

1,3	კიტრი-პომიდვრის სალათა	ულუფა	60	10,00	600,00
1,31	მწნილის ასორტი (კიტრი, ჯონჯოლი, პომიდორი, ნიორი, წიწაკა)	ულუფა	49	7,00	343,00
1,32	საზამთრო	კგ	60	3,00	180,00
1,33	ნესვი	კგ	50	3,00	150,00
1,34	სიმინდი	ცალი	65	3,00	195,00
1,35	ყავა	კგ	5	17,00	85,00
1,36	შაქარი	კგ	5	2,50	12,50
1,37	ღვინო ქარხნული	ლიტრი	200	5,00	1000,00
1,38	არაყი ტყემლის	ლიტრი	15	25,00	375,00
1,39	მინერალური წყალი 0.5 ლიტრიანი	ცალი	62	2,50	155,00
1,4	ლიმონათი სხვადასხვა სახის 0.5 ლიტრიანი	ცალი	100	3,00	300,00
1,41	სალფეთქი (თეთრი ფერის,მაღალი ხარისხის)	შეკვრა	40	2,00	80,00
1,42	სუფრის მომსახურება	კაცი	15	70,00	1050,00
სულ ჯამი					**13500,00**

ი.მ. „ემზარ აბაშიძე“-ს წარმომადგენელი ე. აბაშიძე